

ნარკოტიკული დანაშაულების ლიბერალიზაციის
სამართლებრივ-ეკონომიკური უპირატესობები



ლაშა კაპანაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი ნიპარიშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ლაშა კაპანაძე

29 მაისი 2021

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება საქართველოში არსებული ნარკოტიკული დანაშაულების ლიბერალიზაციის სამართლებრივ-ეკონომიკურ უპირატესობებს, სადაც განხილული იქნება ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული ისეთი საკითხები როგორც არის დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთმიმართება, მისი გამომწვევი მიზეზები, ნარკოტიკული საშუალებების კლასიფიკაცია, საერთაშორისო რეგულირება და მისი ლიბერალიზაციის შედეგად მიღებული ეკონომიკური სარგებელი.

მე-20 საუკუნიდან მოყოლებული საერთაშორისო საზოგადოება ცდილობს აღკვეთოს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღება, შეძენა, შენახვა და მოხმარება, რისთვისაც მიიღო არაერთი კონვენცია თუ აქტი, ადგილობრივ დონეზე კი მოცემული საკითხის მოგვარება სისხლის სამართლის კოდექსით გადაწყვიტა, რამაც, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო შავი ბაზრის გაჩენას და კუსტარულად შექმნილი ნარკოტიკული ნივთიერებების შედეგად სიკვდილიანობის ზრდას, ხოლო, მეორე მხრივ, არაჰუმანური კანონმდებლობის დამკვიდრებას, რომელსაც სამოქალაქო სექტორი დღემდე ებრძვის სხვადასხვა სახით, მათ შორის საკონსტიტუციო სამართალწარმოებით.

ვფიქრობ, მოცემული სამაგისტრო ნაშრომი დაეხმარება ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს, როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორში, სტუდენტებს, პრაქტიკოსს და თეორეტიკოსს იურისტებს, რათა გაეცნონ ნარკოტიკული ნივთიერებების რეგულირების საკითხს საქართველოსა და წამყვანი უცხო ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით და თვითონ განსაზღვრონ 21-ე საუკუნეში, სადაც ცივილიზაცია ყოველდღიურად ვითარდება და წინ მიიწევს, ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული რომელი მოდელია უფრო მეტად მისაღები სამართლიანობის, ჰუმანურობისა და ეკონომიკური თვალსაზრისით.

საძიებო სიტყვები: ნარკოტიკული დანაშაულები, ლიბერალიზაცია, ლეგალიზაცია, დეკრიმინალიზაცია, სარგებელი, ეკონომიკა, განვითარება.

Abstract

This master thesis is dedicated to the legal-economic advantages of liberalization of drug crimes in Georgia, where will address issues related to drug offenses such as the relationship between crime and punishment, its causes, drugs classification, international regulation and the economic benefits derived from its liberalization.

Since the 20th century, the international community has been trying to prevent illegal sale, purchase, storage and consumption of narcotic drugs, for which it has created a number of conventions and acts and at the local level the settlement of the issue was resolved by the criminal code, which on the one hand has contributed to the emergence of the black market and increase in mortality as a result of home-made drugs and on the other hand the establishment of inhumane legislation, which the civil sector still struggles with in various ways, including through constitutional proceedings.

I think the forward master thesis will help those interested in this issue, both in the private and public sectors, students, practicing and theoretician lawyers to get acquainted with the issue of drug regulation based on the examples of Georgia and leading foreign countries and determine for themselves, in the 21st century, where civilization is evolving daily and moving forward, which drug-related model is much more acceptable in terms of fairness, humanity and economics.

Key search terms: Drug crimes, liberalization, legalization, decriminalization, benefits, economic, development.

მადლობა

მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ბადრი ნიპარიშვილს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსის „აკადემიური წერა იურისტებისთვის“ ხელმძღვანელს თიკო თურქიას, ჩემს უახლოეს მეგობრებს თამთა ჩუბინიძეს და ანნა ალადაშვილს და სხვა პირებს, რომლებიც ჩემს გვერდით იდგნენ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში, არ იშურებდნენ დროსა და ენერგიას, მამხნევებდნენ, მაძლევდნენ სტიმულს, რეკომენდაციებს, შენიშვნებს და მაკრიტიკებდნენ, რითაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ჩემი ნაშრომის ჩამოყალიბებაში.